



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

12 11 2010 წ

თბილისი

№ 45/მ.....

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის №22/მ ბრძანებაში ცვლილების და
დამატების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლების და
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის
2009 წლის 23 მარტის №22/მ ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შინაგანაწესის მე-2 მუხლის პირველი
პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამუშაო დროის დასაწყისი 10⁰⁰ საათი და დასასრული 19⁰⁰ საათი.“

2. შინაგანაწესის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2¹ პუნქტი:

„2¹. სამინისტროს შენობაში შესვლისა და გასვლის დროს საჯარო მოსამსახურისათვის
სავალდებულოა კონტროლის სისტემისათვის სამსახურებრივი პერსონალური
(კლასტიკური-ჩიპიანი) ბარათის გამოყენება.“

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის მომდევნო სამუშაო დღეს.

რამაზ ნიკოლაიშვილი